საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №17

2026 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №7 ბრძანებით (ვებგვერდი, 24/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 120010000.22.026.016305) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ადმინისტრაციული შენობებისა და მათი პერიმეტრების, აგრეთვე მინისტრის ან/და თავდაცვის ძალების მეთაურის მიერ განსაზღვრული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე სამინისტროსა და სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მართვაში არსებულ იურიდიული პირების, დისლოკაციის/განთავსების ადგილებზე ვიდეოკონტროლის განხორციელება ან/და ვიდეოკონტროლის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**